საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 202
22. 01. 2010 წ.

ბაკალავრიატის სწავლების დამამთავრებელი 2008 და 2009 წლების სტუდენტების აკადემიური დავალიანების სალიკვიდაციო ვადების შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. ბაკალავრიატის სწავლების დამამთავრებელი 2008 და 2009 წლების სტუდენტებისათვის სწავლების სხვადასხვა წლებში წარმოქმნილი აკადემიური დავალიანების სალიკვიდაციო ვადა გაგრძელდეს 2010 წლის 7 მარტის ჩათვლით.
2. ბაკალავრიატის სწავლების დამამთავრებელი 2008 და 2009 წლების სტუდენტები, რომლებსაც 2010 წლის 9 მარტის მდგომარეობით ექნებათ რაიმე სახის აკადემიური დავალიანება, ამოირიცხებიან სტუ-ის სტუდენტთა შემადგენლობიდან.
3. აკადემიური საბჭოს წინამდებარე დადგენილება დაუყონებლივ ეცნობოს სტუ-ის ყველა ფაკულტეტის დეკანატს.
4. პასუხისმგებლობა დადგენილების შესრულებაზე დაეკისროთ ფაკულტეტის დეკანებს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,
პროფესორი გ. სალუქვაძე